გუგა მგელაძე

ასპიტთა ბუდე-
შუშანიკი

,,და მე მოვკალი კაცი

როცა მან თვითონ მომკლა''

დიანა ანფიმიადი ,,მითოლოგემა''

,, ...მერე უცხვირო თოჯინიდან ქალი ააწყო''

კატო ჯავახიშვილი

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, თუ რატომაც ზიზღდებათ მოსწავლეებს ჰაგიოგრაფიული ტექსტები, მდგომარეობს შემდეგში: პრაქტიკულად, პედაგოგთა უმრავლესობა ამ ტექსტებს, განსაკუთრებით კი ,, შუშანიკის წამებას'' განიხილავს მხოლოდ იმ კონტექსტის ფარგლებში, რა კონტექსტმაც შექმნა ნაწარმოები და ავიწყდებათ მთავარი: ბმულობა, მიმართება თანამედროვეობასთან.

მეხუთე საუკუნეში ,,შუშანიკის'' სახით უკვე რომანი გვაქვს თავისი სტრუქტურული თავისებურებების და თხრობის ტექნიკის კომპონენტების ჩათვლით. სწავლებისას ეს ასპექტიც მიჩქმალულია, არადა რეალურად, ,,შუშანიკის წამება'' პირველი თამამი ტექსტია, სადაც ერთი პოლიტიკური ოჯახის დეგრადაციის პროცესს ქალზე ძალადობის საკმაოდ ნატურალისტური სცენის გავლით ვეცნობით.

ისიც მართალია, რომ იაკობ ხუცესი ვარსქენის შეფასებისას ტენდენციურია (რაც სავსებით ლოგიკურიც კია პოლიტიკური და თუ გნებავთ ზნეობრივი ფაქტორების გათვალისწინებით), თუმცა ასეთი ცოცხალი და ქმედითი პროზაული ტექსტი ქართულად სულ რამდენიმე გვაქვს...

ამიტომაც, ,,შუშანიკში'' არსებული აქცენტების რეაქტუალიზებით შევეცადე იაკობ ხუცესის ტექსტის ტრაგიკული სიმძაფრისთვისაც გამესვა ხაზი, ოღონდ ერთი ოჯახის ტრაგედია სულ სხვა სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში ჩამესვა.

შუშანიკის და ვარსქენის ეპიზოდში პაროდირებულია სატელევიზიო და ენჯეო ენა, რისი გათვალისწინებაც კონტექსტუალურადაც და კონცეპტუალურადაც გადამწყვეტი უნდა იყოს პიესის სპექტაკლად ქცევის პროცესში.

გუგა მგელაძე

1 სცენა: როგორ დავიწყოთ?

შუშანიკი:

ხანგრძლივი პაუზა

არ ვიცი, რატომ გელაპარაკები, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია.

სწორად გამიგე, ახლა, ამ ვითარებაში ვინმეს თუ არ ველაპარაკე, უბრალოდ კი არ გავგიჟდები, რისი მსუბუქი ფორმებიც ჩვენი 15 წლიანი თანაცხოვრების მანძილზე არაერთხელ იხილე, თანაც პერმანენტულად დაგეგმილი, თუმცა უნებისყოფობის ან

ვინ იცის კიდევ რა მიზეზით შეწყვეტილი სუიციდალური ქმედების ფონზე ,არამედ საკუთარი კანიდან ამოვალ. ჰო, კანს გამოვიცვლი, გველივით, რისი სურვილი და მით უმეტეს ენერგია ნამდვილად არ მაქვს.

გინდა შეგეხო?

შეგეხო, გინდა?

რატომ არ მელაპარაკები?

ვარსქენ, ხმას რატომ არ მცემ?

ნაწყენი ხარ?

მითხარი, ჩემზე ნაწყენი ხარ?

ვარსქენ!

არ მინდა ჩემგან ნაწყენი წახვიდე. თანაც, ასე მარტივად ვერ დაგთმობ მიუხედავად იმისა, რომ 15 წლის მანძილზე კაცად ერთხელაც ვერ აღგიქვი. არა, აღგზნებით როგორ ვერ აღმაგზნებდი, ორგაზმამდეც მიგყავდი , უბრალოდ ეგ ილუზორული ექსტაზი იყო. აღებ-მიცემობის მახინჯი და რაც ყველაზე ტრაგიკულია, სოციალურ ინსტიტუციად ქცეული ფორმა,რომელიც თავის დროზე საგანგაშოდ ქმედითი და ფუნქციურიც კი იყო, თუმცა ჩემი და შენი რეალობის კონტექსტში სრულიად არაადეკვატურ და მოშლილ მექანიზმად იქცა. სხვათა შორის, ნამდვილ ექსტაზს გვიან ვეზიარე, მაგრამ ამაზე მერე. ახლა ამდენი დრო არ გვაქვს.

/ პაუზა/

გინდა გვერდით მოგიწვე?

ვარსქენ, გინდა შენი იღლიის სუნი ვიგრძნო?

თუ გინდა თითებს გაგიშლი და საშოში შემიყავი, გინდა?

გინდა თითების ბალიშებით ჩემი საშოს სირბილე იგრძნო, გინდა?

დამელაპარაკე!

ვარსქენ, ხმა გამეცი!

მე ხომ მიყვარდი მიუხედავად იმისა,რომ მძულდი და ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს შიზოფრენიის ზღვარზე ყოფნას, არა, ჩემო ძვირფასო. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალო ცოლ-ქმრული ვნება! მინდა გკოცნიდე და შენი კანი ისტერიულად ვყნოსო. მინდა შენი ხელით ძუძუსთავების სიმკვრივე ვიგრძნო. მინდა ყლეზე გეჯდე და ხავილამდე მიხმარო.

ვარსქენ, რას იტყვი?

შენ ხომ გიყვარს ასეთი თამაშები.

ხომ გიყვარდა ასეთი თამაშები?

იცი კიდევ რა მინდა? მინდა საწოლთან ჩამოგიჯდე და შენი ავტოკრატიული სიზმრები ვმწყემსო. მინდა მიხმარო, მაშინაც კი, როცა ეს არ მინდა. მინდა ორივემ სიცარიელის ტკივილი შევიწოვოთ და ერთმანეთში ავითქვიფოთ.

ხომ გინდა ვარსქენ!

მითხარი, ხომ გინდა?

გინდა?

მიპასუხე!

მინდა იგრძნო, როგორ გილოკავ ენის წვერით ხერხემალს. აი, ვიხრები, სისხლიან პერანგს გხდი, გატრიალებ- გაბრაზებული ბავშვის მიერ პასტელით მიჯღაბნილი და ნაკვთებდაუდგენელი სახე გაქვს. ჩაჭეჭყილი ცხვირი, რომლის ცალი ნესტოდან სისხლის ბუშტი იბერება და მერე ისევ იფუშება.

ვარსქენ, გესმის ჩემი? მგრძნობ?

გინდა შეგეხო?

როგორი გაყინული ხელისგულები გაქვს. აი, მე კი საშინლად ვხურვარ. გრძნობ როგორ ეხები ჩემს ძუძუებს?

გრძნოობ?

ხმა გამეცი!

გრძნობ, როგორ გეფერები ხორცის მასად ქცეულ ყლეზე? გრძნოობ?

ვარსქენ, მგრძნოობ?

მინდა იგრძნო, როგორ ვითხრი შენს თითებს საშოში. საშინლად მიჭირს, მაგრამ უნდა გავათავო!

ჰო, შენზე უნდა გავათავო, ვარსქენ!

საშო მექავება.

საშო მექავება.

საშო მექავება.

ვცდილობ მოგწვდე! მინდა გაკოცო. შენი ენის ხაო ვიგრძნო, მაგრამ კოცნისას პირში შემსხვრეული კბილების ხრაჭუნს ვგრძნობ. შენი კბილი სასაზე ამეწება.

ვარსქენ, შენი კბილი სასაზე ამეწება.

შენი კბილი სასაზე ამეწება.

ნეტა მცემდე. ნეტა ისევ გამეტებით მირტყამდე ასტამს! ვერ წარმოიდგენ, როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ! საშო დამისველდა!

ვარსქენ, რტყმისას საშო დამისველე!

მცემე!

არ გინდა მცემო?

მირტყი!

მე ხომ მიყვარდი მიუხედავად იმისა,რომ ამავდროულად საშინლად მძულდი.

მიყვარდი, ვარსქენ.

გესმის?

მიყვარდი.

იცი, კიდევ რა მინდა?

მინდა დამავიწყო ვინ ვარ, რატომ ვარ ან ვარ თუ არა საერთოდ ვინმე.

მინდა საკუთარ სტატუსს გავცდე, მინდა საკუთარი თავიდან, კანიდან ამოვიდე და შენი სიცარიელე ვიგრძნო, შენი სიცარიელის ტკივილი ვიგრძნო, შენ გიგრძნო, შენი სხეული, ტერფები, მხრები, ბარძაყები ვიგრძნო.

გახსოვს, რა მითხარი პირველი ორსულობისას, გახსოვს?

ვარსქენ, გახსოვს?

როგორ შესქელებულხარო.

მართლა ასე გძულდი? მართლა ასეთი მახინჯი ვიყავი? მართლა ასე გამოვიცვალე ორსულობისას? გეთქვა და მეორეს აღარ გავაჩენდი. ჩემი ხელით მოვგუდავდი ნაყოფს. გეთქვა და პირველსაც აკვანში ჩავსრესდი.

რატომ არ მითხარი?

რატომ არ მითხარი,რომ შესქელებულს ვეღარ მგუობდი?

რატომ?

გახსოვს, პირველად 5 თვისა მცემე. ხუთი თვის ნაყოფიანს თმებში მწვდი და აივნის მოაჯირზე ჩამომარტყმევინე თავი. ტვინის შერყევა მივიღე. მამა იაკობს რომ არ შეეკავებინე, დარწმუნებული ვარ ხელსაც მკრავდი. სარკმლიდან შხუილით დავასკდებოდი რიყის ქვას.

ვარსქენ, გახსოვს შენი ომის შემდგომი ტრავმები?

გახსოვს?

გახსოვს, როგორ უეცრად ტრანსფორმირდი ცივსისხლიან მოძალადედ?

მე ჩემი ყოველი ჭრილობა, ყოველი სილურჯე, ბზარი და ნაკერი მახსოვს.

ის დღეც მახსოვს,როგორი შეცვლილი, არა, შეცვლილი კი არა, გამოცვლილი მოგიყვანეს საავადმყოფოდან. უფრო სწორად, მოგიტანეს, კუნძივით.

  აი, ზუსტად მაგ დღიდან დაიწყო თვიურივით აუტანელი ბღვერები. აი, ზუსტად მაგ დღიდან იქეცი ქმედით მოძალადედ. აი, მაგ დღიდან შეგზიზღდა საკუთარი თავი, ოჯახი, ქვეყანა, სამყარო.

/პაუზა/

იცი, კიდევ რა მინდა? მინდა შენი სიახლოვე ვიგრძნო მაშინაც კი, როცა სახეჩაჩეჩქვილი გდიხარ იატაკზე და სისხლის გუბეში ტივტივებ. სიმართლე გითხრა, მკვდარს უფრო სასიამოვნო სუნი აგდის, ვიდრე ცოცხალს. ნეტა, მკვდარს გამოგყოლოდი. ჰაჰაჰააჰ.

ვარსქენ!

ნეტა მკვდარს გამოგყოლოდი-მეთქი.

გესმის?

მიპასუხე!

ჰო, კიდევ იცი, რა მინდა? მინდა ფიქრობდე, გულწრფელად ფიქრობდე,რომ თავს ვკარგავ მაშინაც კი, როცა სრულიად ადეკვატური ვარ. მინდა სახლში მონა მოგითრიონ, შენი პირადი მასაჟისტი და მერე მასზე სრულიად საფუძვლიანად ვიეჭვიანო. მინდა წარმოვიდგინო, როგორი გამეტებით ჟიმავ და თან სახეში ურტყამ გაშლილ ხელს.

გახსოვს, როგორ გიყვარდა სექსის დროს გაშლილი ხელის რტყმა, გახსოვს?

ვარსქენ!

გახსოვს, როგორ გიყვარდა ძუძუებზე კბენა.

ნუ გწყინს ,რომ სახე ჩაგიჩეჩქვე. ასე გამოვიდა. ჰო, მესმის, აბსოლუტურად მესმის,რომ ახლა უჩვეულო სიტუაციაში ვართ და სულ მალე აღმოგვაჩენენ, თუმცა წასვლამდე მინდა გელაპარაკო. ლაპარაკის სურვილი მაქვს. გთხოვ, მკვდარმა მაინც მომისმინე!

პაუზა

ახლა რასაც გეტყვი, შეიძლება უცნაურადად კი ჟღერდეს, მაგრამ რომ არ ვთქვა, უთქმელობის ზიზღი მომიღებს ბოლოს.

ყველა შენი ბოზის სახელი ვიცი, ყველა აღნუსხული მყავს, ყველას მისამართს ვფლობ. ეს უცნაურად რიტუალური პროცესი კი ჩემი პირველი ფეხმძიმობის პერიოდში დაიწყო.

ჯერ ეფექტურად მიმალავდი მორიგი სექსის შემდეგ გამოყოლილი სპეციფიური სუნის, მე ვიტყოდი, მეტოქის სუნის სამხილს, გულმოდგინედ ისხამდი სიმამრის მიერ ნაჩუქარ სუნამოს, მაგრამ მერე, როცა უკვე სასახლიდან გასვლა გეზარებოდა და მასაჟისტის სახით ქალებს უკვე აქეთ დაათრევდი, საკუთარმა მზრუნველობამ გაგყიდა: ,,იწექი, ნუ გამოხვალ!''!

ნებაყოფლობით პატიმრად მაქციე.

პრაქტიკულად, 3 თვის მანძილზე ჩვენი ოთახის ორგანულ ნაწილად, საგნად ვიქეცი.

საჭმელიც თავად მოგქონდა, ვარდის ფურცლებითაც მიფორმებდი.

როგორ მჯეროდა შენი!

პაუზა.

ერთ დღესაც დიდი მანიპულაციის შედეგად შეთითხნილი სენტიმენტალიზმი რეალობამ ბოლომდე შეისრუტა, მერე მოინელა და შიდაპატიმრობა დამთრგუნველმა ამნისტიამ შეცვალა.

დაგინახე. უფრო სწორად, დაგინახეთ *(მკვეთრი აქცენტით)*

ჰო, დაგინახე როგორ ბჯენა-ბჯენით ცდილობდი გათავებას. თითქოს, იმ ქალის შენგრევა გინდოდა, შელეწვა. შენ ხომ გიყვარს მსგავსი თამაშები, ვასქენ!

ხომ გიყვარს, მსგავსი თამაშები!

კედელს მივეყინე. თუკი რაიმე სახის გრძნობა გამაჩნდა, ყველაფერი იმ კედელმა შეიწოვა. უორგანო ფიტულად ვიქეცი, გამოვცარიელდი, მუცლის სიმძიმესაც კ ივერ ვგრძნობდი, ცოტაც და დავეცემოდი, მაგრამ თავი შევიკავე.

უცნაურია, მაგრამ გული სამი დღის მერე ამერია. გავიღვიძე, წარმოგიდგინეთ და პირდაპირ საბანზე ვარწყიე. ნელის დავუძახე, შენ თათბირზე ბრძანდებოდი. შემოვიდა. ვიდრე თეთრეულს ცვლიდა, პირდაპირ ვუთხარი: სხვა ყავს? ნელი, ხომ იცი , როგორ მიყვარხარ, ნუ დამიმალავ. სხვა ყავს? თქვი, არ მეწყინება. შენ რას გერჩი. ჩუმი ქალი იყო, მაგრამ ისეთი ამბები იცოდა, ჭკუიდან გადაგიყვანდა.

პაუზა.

ვათქმევინე. წლების მანძილზე სწორედ ეგ მაწვდიდა ინფორმაციას შენს მორიგ ბოზებზე. ორი ბლოკნოტი გავავსე. ორი, 48 ფურცლიანი ბლოკნოტი მხოლოდ

იმიტომ, რომ სახეზე ამეფარებინა, შენი მახინჯი ეგოსთვის ამეფარებინა. ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდებოდა.

პაუზა.

ახლაც მიკვირს, რით იზიდავდი? რას პირდებოდი? შენ ხომ ერთი აქტუალურად ყოფნის სურვილით შეპყრობილი დემაგოგი იყავი! იმათთანაც დემაგოგობდი? იმათაც ცოლობას პირდებოდი?

რამდენი დააორსულე?

ვარსქენ, მითხარი რამდენი გვამის სუნად ყარხარ!

ყველა აჩენდა?

მითხარი, ყველა მათგანი ბავშვს აჩენდა?

აძლევდი ამის უფლებას?

გაძლევდნენ ისინი მამობის უფლებას?

თუ ფული უხადე და ამ გზით დაადუმე?

რატომ არ მელაპარაკები! მე ხომ ჯერ არ გამითავებია!

აი, კიდევ ერთხელ გეხუტები. თავიდან სისხლი გდის.

ტვინის შერყევა გაქვს?

ვარსქენ, მითხარი, ტვინის შერყევა გაქვს?

მძიმედ დაეცი?

მე ხომ ჩაქუჩი მხოლოდ სახეში გირტყი.

მე ხომ მხოლოდ ცხვირ-პირში გირტყი.

მაგ უნიჭოდ დემაგოგურ ცხვირ-პირში გირტყი, ვარსქენ!

შენ ეს დაიმსახურე. შენ ეს ჩემგან დაიმსახურე. ძალადობა უნდა დასრულებულიყო. რუტინად გექცა, წყევლად. მარტო მე კი არა, შენც, ორივეს, ოჯახს. ხოდა, უკვე უსიცოცხლოდ გდიხარ, მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის,რომ მე ვერაფერს ვგრძნობ, კმაყოფილებასაც კი. ვერც ზიზღს, სხვათა შორის. გიყურებ და აღარ მეზიზღები,.

მინდა სულ აქ იყო

აქ იყო

აქ იყო

აქ იყო.

პაუზა.

იცი, კიდევ რა მინდა? გვერდით მოგიწვე, შენს მკლავებში შევიყუჟო, სუნთქვა შევიკრა და შენი გულის ცემა ვიგრძნო.

ვარსქენ, რატომ აღარ გიცემს გული?

ყოველთვის ასეთი გულქვა იყავი?

ბავშვობაშიც ასეთი გულქვა იყავი?

ვარსქენ, ძალადობის მსხვერპლი ხარ? მამიკომ გაგაუპატიურა? კლასელებმა იძალადეს? იქნებ, მასწავლებელმა დაგაძალა ყლე მომიწოვეო! იქნებ , ყველაფერი ერთად მოხდა?

მიპასუხე!

ნაწყენი ხარ ჩემზე?

რაღაცით ხომ უნდა ავხსნათ შენი საქციელი, შენი პერმანენტული ბღვერები, ზიზღი. მხოლოდ ომის ბრალია? მხოლოდ ომმა გამოგცვალა? არადა, კაცმა რომ თქვას, აბსოლუტურად რეალიზებული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებდი, ოპონენტებიც გზოგავდნენ, მაგრამ ეგ მანამდე იყო, მერე კი, აი მაშინ, როცა ჩვენს მოსაზღვრე იმ.პერიას, რომელსაც წლების მანძილზე სულ ნაგლეჯ-ნაგლეჯ მიჰქონდა შენი ქვეყნის ტერიტორიები, სამარცხვინოდ სწრაფად მიეწებე და გამოსვლებში ქსენოფობიურ-რასისტული მოწოდებების სიჭარბის გამო შენი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა. ამას ვერ შეეგუე? ამან დაგაფრთხო? პოპულარობის სიმყიფემ გაგაცოფა?

მიპასუხე, ვარსქენ!

,,ის კი არა ვარ, რაც ვარ, მე ვარ ის, რასაც ვაკეთებ''.

ისევ ნაწყენი ხარ?

ხომ ხედავ, გეხუტები. ხომ ხედავ პერანგი შეგიხსენი და ძუძუსთავებს გისრესს.

გსიამოვნებს?

მითხარი, გსიამოვნებს?

ვერაფერს გრძნობ?

ვარსქენ, მართლა ვერაფერს გრძნობ?

ვერც ჩემს ტუჩებს?

გრძნობ, როგორ ვეხები შენს ყლეს?

როგორ დაჩუტულა!

ჰაჰაჰ!

ვარსქენ, შეხედე, როგორ დაჩუტულა!

საბრალო, შე საბრალო!

გინდა გაკოცო?

ვარსქენ, გინდა ტუჩებში გაკოცო?

გინდა ჩემი ენის ხაო იგრძნო, მე მიგრძნო, გინდა?

დამელაპარაკე!

პაუზა.

2 სცენა.

To Delete or not to Delete?

ვარსქენის რეზიდენცია.

ცოლ-ქმრის საძინებელი.

ვარსქენი:

(ლეპტოპით ხელში)

ხვდები, რამხელა შარია?

შუშანიკი:

არაუშავს, ჭკუას ისწავლის. უარესებს დებენ.

ვარსქენი:

ეს ბინძური პროვოკაცია, რომელსაც ცხადია, არ წამოვეგები, მაგრამ ვერც რეაგირების გარეშე გავატარებ, მნიშვნელოვნად იმოქმედებს ჩემს სამომავლო რეიტინგზე. ერთით ნაკლები ხმა პოლიტიკური კასტრაციის რისკებს ზრდის. გინდა კასტრატი ქმარი? გინდა?

შუშანიკი:

მადლობელი უნდა დარჩე, შენნაირ დემაგოგ ღორს პიკანტური მასაჟის სეანსების ჩანაწერები რომ არ გამოგიფინეს. აი, ცირკი მაშინ გენახა!

ვარსქენი:

ბოდიში, მაგრამ შენი ირონიის თავი ნამდვილად არ მაქვს. (ლეპტოპის ეკრანს დახედავს) არა, ესენი ნამდვილი ავადმყოფები არიან, პედოფილები, ნუ. 15 წლის გოგოს სხეულზე დაგეშილი და როგორც ჩანს, საგანგაშოდ გონებაშეზღუდული სუბიექტები. რა გაუძლებს ჟურნალისტების ყაყანს.

შუშანიკი:

ყველგან შენ ხარ.

ვარსქენი:

რა თქვი?

შუშანიკი:

რა აიტანს ეკრანიდან შენს თავდაუზოგავ ყეფას.

ვარსქენი:

აბა, რა ვქნა? მორალური კაპიტულაცია გამოვაცხადო?

შუშანიკი:

იქ ისეთი სხვანაირი ხარ, ლამის გული ამერიოს.

ვარსქენი:

(წყინს)

მადლობა.

შუშანიკი:

ვარსქენ, რომელი რომელი ხართ? ისაა ნამდვილად ჩემი ქმარი თუ შენ?

ვარსქენი:

ნუ ბოდავ!

შუშანიკი:

არა, მართლა!

ვარსქენი:

არ მესმის მაგით რის მიღწევას ცდილობ.

შუშანიკი:

,,მძულს ყველა, ვისაც ანუგეშებენ და ვინც ანუგეშებს.''

ვარსქენი:

 არ შეგიძლია ადამიანურად მაინც შემიბრალო? შეხედე, ყველა შენი შვილის სექსის კადრებით ინსპირირდა. მთელი სოციალური ქსელი მისი პოზებზე ალაპარაკდა. არ უნდა იცოდე ვისთან გდია ხოლმე?

შუშანიკი:

მგონი, ეგ შენც გეხება. ბავშვს მამაც ყავს, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც.

ვარსქენი:

მომისმინე, ერთი წუთით. ეგ გოგო შენი გატუტუცებულია. მე სულ მივლინებაში ვარ. ხან სად მიწვევენ, ხან-სად. რა ვქნა, თან წავიყვანო? ვმწყემსო? ბოდიში, მაგრამ პოლიტიკა გამორიცხავს სხვა ტიპის ადამიანურ პრეფერენციებს. მე ჯერ პოლიტიკოსი ვარ და მერე- მამა. რთულად ვამბობ?

შუშანიკი:

ნუ მანანებინებ, რომ ცოლად გამოგყევი.

ვარსქენი:

მე კი იმას,რომ ცოლად მოგიყვანე.

შუშანიკი:

ბრავო! კრიტიკულ სიტუაციაში როგორი პირდაპირები გავხდით. მიდი, მითხარი ყველაფერი: ვერ მიტან? გეზიზღები? სხვა გყავს?

ვარსქენი:

ასე მგონია ვიღაც მიზანმიმართულად გირევს ტვინს. რა სიხშირით დადიხარ იაკობთან.

შუშანიკი:

ახლა მოძღვართან მისვლის საათებიც მიკონტროლე!

ვარსქენი:

ეგ კაცი ჩემი პრინციპული მოწინააღმდეგეა. ვერ მიტანს, ვერ იტანს,რომ მეზობელი ქვეყნის მმართველთან ვიყავი წითელ მოედანზე გამართულ დახურულ შეხვედრაზე.

შუშანიკი:

პრინციპული კაცია. შენნაირი ღორივით ქვეყნის ინტერესები ფულზე და პრესტიჟზე არ გაუცვლია.

ვარსქენი:

მაგასაც მივხედავთ. ნახე ერთი რეებს წერენ. ელემენტარულად აზრს ვერ აყალიბებენ. ასწავლათ ამათ ვინმემ წერა კითხვა?

შუშანიკი:

არ მაინტერესებს.

ვარსქენი:

მოგიწევს მოსმენა. რაც იმასთან დაეთრევი, ვეღარ გცნობ. ასე მგონია, გამოგცვალეს. არ მესმის ისეთი ტიპის ანაქრონისტული მოწოდებები, რასაც შენი რელიგია ქადაგებს შვილებზე, ოჯახზე, ჩემზე პრიორიტეტული როგორ უნდა იყოს.

შუშანიკი:

სხვათა შორის, ადრე ეგ შენი რელიგიაც იყო.

ვარსქენი:

ახლა ისე ვიქცევი, როგორც ქვეყანას ჭირდება.

შუშანიკი:

ნუ მელაპარაკები ხალხის სახელით. შენს კარიერისტულ ამბიციებს კოლექტიურ მოთხოვნილებად ნუ ასაღებ, უფრო საზიზღრდები.

პაუზა.

ვარსქენი:

ახლა ურთიერთობების რკვევის ენერგია ნამდვილად არ მაქვს. ნახე, რას მწერენ ოპონენტები: ,, ვარსქენ, მაგარი ყლე ხარ. უყლევესი ხარ და იმდენად ყლე ხარ რომ ყლედ ყოფნის უფსკრულიდან ვერასდროს ამოხვალ. ვერც ამოიწევი. ყლეების სასაფლაოზეა შენი ადგილი . აგრესორის ყლე მწოველავ, რაო, მოგიტყნეს გოგო? ჰაჰაჰა. დაველოდოთ, შენს სექსებს როდის ვნახავთ...''

შოკში ვარ! ფალსიფიკატორების და სიმულაციური აგრესორების მთელი ნაკადია. ეს რომ ჩვენმა შვილმა წაიკითხოს? ვინ აგებს პასუხს მოსალოდნელ შედეგებზე? მოზარდია, რა იცი, რაზეა წამსვლელი.

შუშანიკი:

ბოდიში, არ გისმენდი.

ვარსქენი:

თანდათან ვრწმუნდები, ცოლი კი არა- ანტურაჟი ხარ.

შუშანიკი:

ჰაჰაჰა. როგორ მინდა სახეში შეგაფურთხო.

ვარსქენი:

ახლა ამის დროა? გეკითხები, ახლა ამის დროა?

შუშანიკი:

სახლი კი არა-ასპიტთა ბუდეა.

ვარსქენი:

მოკეტე. ხომ მივიღეთ უკვე სიძულვილის დღიური დოზა. რა გინდა, გირტყა? გსიამოვნებს,როცა გცეემ?

შუშანიკი დუმს.

ვარსქენი:

როგორმე უნდა წაიშალოს ეს უმსგავსობა. მე ეგეთებში ვერ ვერკვევი. ბიჭებს ვეტყვი, ისინი მიხედავენ. 3 წუთიც ვერ გავუძელი. რა ამბავია სამ საათიანი უწყვეტი პროცესი, დაეჩეხათ მაინც. აი, ესაა ჩემო ძვირფასო, კოლექტიური პერვერსია. ამათ ახლა მარტო ეკრანი აკავებთ. ჰო მართლა, ბავშვი სადაა?

შუშანიკი:

უსაფრთხო ადგილას.

ვარსქენი:

სად?

შუშანიკი:

იაკობთან, მონასტერში.

ვარსქენი:

ყლე ხარ, ამხელა ქალი! შენ რა დედა ხარ!

შუშანიკი:

ახლა გამოგიმუშავდა მამობრივი ინსტინქტი? ბოდიში, მაგრამ უკვე გვიანია. მაგაზე ადრე უნდა გეფიქრა.

ვარსქენი:

რა უნდა 15 წლის გოგოს მონასტერში? ათასი ვიღაც დაეთრევა. რომ იცნონ? იქაც რომ მიაგნონ? გეთქვა და ჩემ ბიჭებთან გადავმალავდი.

შუშანიკი:

სანდო ხელშია, იაკობი დაელაპარაკება. ბოლოს და ბოლოს, მისი ნათლიაა. ხომ იცი, როგორი ეფექტური მოსაუბრეა, როგორი მზრუნველი.

ვარსქენი:

რა იყო, ხომ არ მიეცი?

შუშანიკი:

ავადმყოფო!

ვარსქენი:

ეგ კაცი არ არის? ჰა-ჰა-ჰა.

შუშანიკი:

მოკეტე, თორემ მოგკლავ!

ვარსქენი:

არ მეგონა შენი რელიგია პოლიტიკურ მკვლელობასაც თუ ქადაგებდა.

შუშანიკი:

ვარსქენ!

ვარსქენი:

შენ რომ მოკვლა შეგეძლოს, აქამდეც გამასაღებდი. ასე არ არის? რა საჭიროა მკვლელობისთვის 15 წლიანი ლოდინი.

შუშანიკი:

რომ გიყურებ-თვალები ზიზღით მევსება, ზიზღის სიბლანტებს ვგრძნობ სასაზე.

ვარსქენი:

შენ მგონი სამკურნალო ხარ! იაკობთან წანწალს ფსიქიატრს გაესინჯე!

შუშანიკი:

მიკვირს, აქამდე როგორ ვერ მოგიგზავნეს ქილერი.

ვარსქენი:

წამებული ქმარი გინდა გყავდეს? კი ბატონო, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები რეგალიაა, თუმცა ჯერ ქვეყანას ვჭირდები, საქმეს ვჭირდები. ომი გინდა? მე არ მინდა ომი. ხომ წამოვეგეთ რამდენიმე წლის წინ პროვოკაციებს? ხომ დავმარცხდით? შევცდით, ხომ? ცხვირი წავიტეხეთ. ჰოდა, არ ჭრის მსგავსი სტრატეგია, ხომ ხედავ, უფრო სწორად სტრატეგია კი არა სტრატეგიის სიმულაცია. ომი არც იმათ უნდოდათ, მაგრამ იძულებულები იყვნენ-ეპასუხათ. ყველაფერთან ერთად მე ეს

კონფლიქტური რეგიონი საკუთარი თვალით ვნახე, მეც ვიბრძოდი იქ, მეც მაქვს გრძნობები...

შუშანიკი:

სახლში მაინც ნუ დემაგოგობ. ტელევიზორიდან გადმოსულს ჰგავხარ. სად გადის ზღვარი შენსა და ტელე ორეულს შორის, ვარსქენ? რომელი რომელი ხართ? მე ქმარი მინდა, ბავშვზე მზრუნველი მამა მინდა და არა პოლიტიკურად ანგაჟირებული ჩინოვნიკი.

ვარსქენი:

აგერ, არასამთავროებიც აყაყანებულან. სათაურს დააკვირდი: ,, შეწყდეს ქალთა დისკრიმინაცია! გახსოვდეს, შემდეგი შენ იქნები!'' ყლეები. ჩემს უფლებებს ვინღა იცავს, ვინ? შენ მაინც რამ დაგადუმა? განცხადება გააკეთე, ოფიციალურად. პრესკონფერენციაზე შეყარე ის შენი რელიგიური შანტრაპა და დამიცავით, მე ახლა სწორედ ინსტიტუციების მხარდამჭერა მესაჭიროება. არ მეგონა ამას თუ ვიტყოდი, მაგრამ ჩემი და პრინციპში ქვეყნის ბედი, თქვენს ხელშია.

შუშანიკი:

დიდი გოგოა, საკუთარ თავს თვითონ მიხედავს. არ ჭირდება დედიკოს და მამიკოს კალთა. თანაც, რაც თავი მახსოვს, შენ გგავს. შენსავით ჯიუტია. ძლივს შევტენე მანქანაში.

ვარსქენი:

ნუ აძალებ, იქნებ ბუდისტია, ბუდასი სწამს ან არმაზის კერპის ან საერთოდ ათეისტია. რა იყო, გვიშლი ათეიზმს? გვებრძვი? შენი რელიგია ქადაგებს ჩვენნაირების ანუ თქვენგან განსხვავებულთა ზიზღს? მითხარი, ასე როგორ გამოგაშტერა იმ ცურტაველმა ეპისკოპოსმა? ვერ ხვდები, შენით რომ მანიპულირებს? რა გინდა, გინდა სამუდამოდ გავაჩუმო? გინდა?

ხანგრძლივი პაუზა.

ვარსქენი:

ვა�ა, საღოლ! შენც გადმოგწვდნენ. კი გინდოდა ანგელოზობანას თამაში, მაგრამ ვერ მოგართვი. ბოლო ბოლო, იმას მაინც უნდა გაუსწორო თვალი, რომ შენც ერთ-ერთი ასპიტი ხარ, ამ ბუდის სრულფასოვანი მატრიარქი.

ნახე, ნახე როგორ აბობოქრდა ტროლების ქარხანა: ,, შენი შიშველი ძუკნა გვაჩვენე, ვარსქენ. გვაყურებინე!''.

შუშანიკი:

ვარსქენ, რა გინდა? გინდა მონასტერში წავიდე? კარგად მიცნობ, უკან არაფერზე დავიხევ.

ვარსქენი:

მოიცა, მოიცა, შენ რა, მემუქრები?

შუშანიკი:

შე საცოდაო!

ვარსქენი:

ხომ არ გინდა, ამ დღეებში შენი ნეკროლოგი გავრცელდეს? ჰოდა, ენას კბილი დააჭირე. საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ. გძულვარ თუ არა, არა აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა. შენ მე მჭირდები, როგორც იდეოლოგიური პარტნიორი.

შუშანიკი:

რომ წავიდე, თმებით მითრევ? მცემ? მიდი დამარტყი! შენგან მსიამოვნებს. არ გახსოვს წლების წინ ჯოჯიკის თვალწინ რომ მცემე?

ვარსქენი:

შენ კიდევ იმაზე იღრინები? შეხედე შენ, ასპიტს როგორი მახსოვრობა ჰქონია.

შუშანიკი:

იმ დღეს, აი იმ მომენტში,როცა ასტამს მირტყამდი, გეფიცები, ჩემს შვილებს გეფიცები, ორგაზმი განვიცადე. არ გატყუებ, მართლა.

ვარსქენი:

(როგორც ჩანს, შოკშია)

შენ რა, სულ გააფრინე?

შუშანიკი:

მე ყველაფერი ვიცი.

ვარქსენი:

რა იცი? რამე სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო წამოვროშე სიმთვრალეში?

შუშანიკი:

ყველაფერი ვიცი -შენს ბოზებზე. ისიც ვიცი, რომელთან ვერ გაათავე. გინდა ყველამ ყველაფერი გაიგოს? გინდა შენი ჰომოსექსუალური ამბებიც გასკდეს? ნაბიჭვარო!

ვარსქენი გაშლილ ხელს გაუქანებს. შუშანიკი გადაქანდება და ძირს ეცემა.

შუშანიკი:

მცემე, ვარქსენ, მცემე.

ვარსქენი წიხლებს ურტყამს: მუცელში, თავში და ა.შ.

ვარსქენი:

შენი დედა მოვტყან! ხომ გაფრთხილებდი, ხომ გეუბნებოდი, ნუ გამაბრაზებ მეთქი!

შუშანიკი:

ნეტა, ხვდებოდე, ნეტა გრძნობდე, როგორ მაძაგძაგებს, ვნებისგან.

ვარსქენი უფრო და უფრო მწარდება. შუშანიკს სისხლი სდის.

ვარქსენი:

აქედან გამოთრეული არ დაგინახო, შე ნაბოზოვარო!

ვარსქენი ოთახიდან გადის.

3 სცენა:

-0 ანუ

უთვალთვალე!

ვარსქენის დაცვის წევრი:

ის დღე მძაფრად მახსოვს.

სხვანაირად წარმოუდგენელიც კია.

რომც ვეცადო, მეხსიერებიდან მაინც ვერ ამოვშლი, არადა დიდი დრო გავიდა, თუმცა დაზუსტებით ვერ ვიტყვი -რამდენი.

ზოგადად, კალენდარული დროის აღქმის უნარი დავკარგე.

იმ დღემდე ფუნქცია მაინც მქონდა. სხვა თუ არაფერი, ამ ფუნქციაში ფულს მიხდიდნენ, ოღონდ ძალიან ცოტას.

ადრე ამას ვერ ვიტყოდი, მაგრამ ახლა უკვე ობიექტური საშიშროება არც არსებობს და სწორედ ეს მაძლევს სითამამის უფლებას.

ხანგრძლივი პაუზა.

ჩემი ცოლი ჯვრისწერამდე უკვე ფეხმძიმედ იყო, მაგრამ კიბიდან დაგორდა და მუცელი მოეშალა. შემდეგი 5 წლის მანძილზე ორჯერ დაფეხმძიმდა, მაგრამ ორჯერვე გავაკეთებინე აბორტი.

თავიდან არ მთანხმდებოდა, სახლიდანაც გამექცა, თავის მოკვლა სცადა, მაგრამ ბოლოს, დათმობაზე წავიდა.

ხვდებოდა, რომ ჩემთან კონფლიქტი არ ღირდა წინააღმდეგ შემთხვევაში, სიჯიუტე სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

არადა, ბუნებით მოძალადე არ ვარ. უბრალოდ, ვერ ვიტან, როცა არჩევანის წინაშე მაყენებენ.

იშვიათად ვკარგავ ხოლმე მოთმინებას.

რა ვქნა, თმენის უნარი 10 წლიანი სტაჟის პირობებში გამომიმუშავდა.

პოლიტიკური წონის მქონე კლიენტის დაცვის წევრს სხვა პროფესიულ თვისებებთან ერთად მყარი ფსიქიკაც უნდა ჰქონდეს.

პაუზა.

ჰოდა, მეორე აბორტიდან ზუსტად 2 წლის მერე ისევ დაფეხმძიმდა. ამჯერად, გავაჩენინე. ასე თუ ისე სტაბილური სამსახური მქონდა, ცოტას მიხდიდნენ, მაგრამ მყოფნიდა.

ძირითადად სახლის პერიმეტრის დაცვა მიწევდა: ბაღი, აუზი, ეზო. ჩვენ ღამით ვიყავით, 6 ის მერე ვცვლიდით ბიჭებს.

ამდენი წელი გავიდა, თითქოს ყველაფერი უნდა დამვიწყებოდა, მაგრამ მკვეთრ ფერებზე დღემდე პანიკური შიში მაქვს. გვამი პირველად მე ვნახე.

წარმოდგენა არ მაქვს ვისთან ღალატობდა, ეგ ნელიმ უფრო იცოდა და როგორც მერე გავიგე თავისი ქალბატონის უერთგულესი მესაიდუმლეც იყო, მაგრამ მე ის უფრო მიკვირს ასე როგორ გაიმეტა. სამი დღე ვწმენდით ოთახს.

პრინციპში, რა ჩემი საქმეა, მაგრამ უკვე ყველა ალაპარაკდა და მე რატო ვდუმდე?

დიდი ამბები ატყდა. ქვეყანა ლამის პარანოიის ზღვრამდე მივიდა. ცალკე ამ ქალის სიკვდილით დასჯას აპროტესტებდნენ უცხო ქვეყნის მიერ დაფინანსებული მჩხავანა ჯგუფები, თუმცა უშედეგოდ. პოლიტიკური მკვლელობის ბრალდებით 2 კვირაში, დაჩქარებულ ვადებში ჩამოახრჩვეს.

მისი ქმრის გვამი გარკვეული ხნის მანძილზე დავის საგანად იქცა. იმ პერიოდში ვარსქენის გვამზე ობიექტურად აქტუალური არც არაფერი იყო. გვამის ლეგიტიმაციამ ქვეყანაში არსებული ყველა წვრილმან-მსხვილმანი პრობლემა გადაფარა. კაცი ლამის წმინდანად იქცა. ქვეყნისთვის თავგანწირულ პატრიოტად.

არ ვიცი, იქნებ ამას არც უნდა ვამბობდე, თუმცა ქალი თავიდანვე უცნაური იყო. რაც თავი მახსოვს შვილთან ნორმალური კონტაქტი არ ჰქონია. მგონი, არც ქმართან.

ყოველ შემთხვევაში, როცა ვარსქენი შვებულებიდან ბრუნდებოდა სახლზე მეტად თავის იდეოლოგიურ პარტნიორებთან ატარებდა დროს.

მაგათ ბიჭიც ყავდათ, ოღონდ ეგ მაგ ამბების დროს უცხოეთში იყო, სასწავლებლად. მგონი, რაც სიკვდილის დასჯის კადრები პირდაპირი ეთერით გადასცეს მაგის მერე შოკშია. ახლა აქეთაა, თავისი ოჯახის ამბებს არკვევს.

ჰო, ქალი სულ იმ თავის ტურისთავალება სულიერ მამასთან დარბოდა.

მე რომ კაცმა მკითხოს მაგის წაქეზებული მგონია.

აბა, ასე ხელაღებით ადგე და ასეთი გაქანების პოლიტიკოსი დაბრიდო? აბსურდი, ნუ.

ოჯახი ამომიწყდეს თუ რამეს ვაჭარბებდე, ნელიც დამემოწმება.

მაგან ჩემზე მეტი იცის.

პაუზა.

ჰოდა, იმ დღემდე რამდენიმე კვირით ადრე ვხედავ, სახეალეწილი გამორბის სასახლიდან. მხეცს გავს. თვალი ავარიდე.

მეგონა, უსიტყვოდ ჩამივლიდა. შევცდი.

ამის დედაც მოვტყანო, აჩეჩილი თმები გადაიწია და მთხოვა, რამდენიმე დღით მისი ცოლის ოთახთან მეყარაულა.

თან მკაცრად გამაფრთხილა, არ გამოვლაპარაკებოდი.

შიგ შემსვლელ-გამომსვლელზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

კი ბატონო, როგორც თქვენ მიბრძანებთ მეთქი. სხვა რა უნდა მეთქვა. კაცს არ გავდა, ისე იღრინებოდა, ლამის ჩავიფსი.

გასაგებია რაც გითხარი?- არავინ შევა, იცოდე გადაყვები ამ ამბავს.- ეგ უკვე მუქარასავით ჟღერდა.

ტუალეტი რომ მთხოვოს?- გააზრების გარეშე წამოვბოდე.

-მაგან უკვე საკმარისად ჭამა- ღრენით ჩაიცინა და წავიდა.

5 დღე ვყარაულობდი. შიგ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. მეთქი, ხომ არ შევიხედო? ცოცხალია? მკვდარი რომ იყოს, სუნს მაინც ვიგრძნობდი. მძაფრი ყნოსვა მაქვს. კილომეტრებში ვგრძნობ.

ერთხელ მაგის სულიერი მოძღვარი მოვიდა შუადღით, შუშანიკს ეძებდა. კიდევ კარგი ვარსქენი ბუდაპეშტში იყო, თორემ ეგ რომ თავის სახლში ენახა ცოცხლად დაგლეჯდა.

დასანახად ვერ იტანდა. ყავდა მას თავისი მხარდამჭერები სასულიერო სფეროდან. სხვათაშორის, რამდენიმე მაღალი იერარქი წითელ მოედანზე გამართულ შეხვედრაზეც კი გაიყოლა.

აი, ეგ კი, ღმერთო გამახსენე რა ერქვა, ა , ჰო, იაკობი, მისი ოპონენტი იყო. ტელევიზიით სულ ვარსქენის პარტიას ლანძღავდა.

უნდა გენახათ როგორ ყეფდა ან ერთი ან მეორე.

ოჯახი ამომიწყდეს, ეგენი ადამიანები კი არა ასპიტები არიან.

რას ვამბობდი?

აზრი გამიწყდა.

საიდან სად გადმოვხტი.

მოკლედ, მოვიდა იაკობი, მშვიდად მეუბნება, უნდა შემიშვაო.

ვერა, უფროსი მომკლავს მეთქი.

შვილი თუ გყავსო.

კი მეთქი.

რამდენიო.

ვუთხარი რამდენიც მყავდა.

გინდა შვილს მოგინათლავო?

არ მწამს მეთქი.

ჩაფიქრდა, ჩაიცინა და მეუბნება- რამდენი გინდაო?

რა მეთქი?- ვითომ თავს ვიშტერებდი.

ჰა, მიდი ახლა, რამდენს აიღებო- იცინის.

რა იყო, ბიჭო, ღამეს კი არ ვათენებ, 15 წუთით შევალ, სალაპარაკო მაქვს, შენ არ იცი ქალი რა დღეში ჩააგდო იმ ნაბიჭვარმაო.

ჰო, ნაბიჭვარმაო, ასე თქვა.

მომკლავს, ვერ გავრისკავ, ოჯახი მყავს, თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ მეთქი.

15 წუთი დამჭირდება, მეტი არაო.

მერე ჯიბიდან ფულის შეკვრას იღებს და მაძლევს: 300-ია, გეყოფაო.

შევუშვი. რა მექნა. ოჯახს რჩენა უნდოდა.

წარმოდგენა არ მაქვს, რაზე ილაპარაკეს.

მოსმენები მერე დავიწყე, როცა ვარსქენმა გაიგო ვინ დაძვრებოდა საღამოობით შუშანიკთან.

მერე მოვტვინე კამერების ამბავი. იქ ყველგან კამერებია.

მგონი, ტუალეტშიც კი.

ჰოდა, ჩანაწერები ნახა. გადამამოწმა.

მეგონა, იარაღს ამოიღებდა და იქვე გამასხმევინებდა ტვინს.

ვთხოვე, ვეხვეწე, ვემუდარე, ნურაფერს დამიშავებთ, ოჯახი მყავს, ცოლი, შვილი, ავადმყოფი დედა (არადა დედაჩემი 17 წლის ასაკში დავმარხე) და პირობას გაძლევთ ყველაფერს აგისრულებთ მეთქი.

დამემუქრა, დიდი სიამოვნებით გაგასაღებდი,უბრალოდ ახლა სხვა საქმისთვის მჭირდები, ეგდები მანდ და საუბარს მოისმენო.

კი ბატონო, როგორც თქვენ მიბრძანებთ მეთქი.

იცოდე, თუ შეგნიშნეს, ერთ ღამეში აგაორთქლებო.

რისი გარჩევაც შემეძლო, მხოლოდ იმას ვეუბნებოდი. ჩურჩულებდნენ და მაგიტო.

რა უნდა მექნა. ვიღაცას ოჯახზე ხო უნდა ეზრუნა?

4 სცენა

მთავარი პარტია

ანუ

როგორ ვამთავრებთ?

შუშანიკის და ვარსქენის საძინებელი.

იაკობი:

დიდხანს ვდუმდეთ?

პაუზა.

იაკობი:

ხმა გამეცი!

პაუზა.

იაკობი:

(მხარზე ეხება)

მე მაინც დამელაპარაკე!

იაკობი:

მესმის, რომ არასახარბიელო სიტუაციაში ხარ, მაგრამ ამ ეტაპზე ერთად უნდა ვიმოქმედოთ.

შუშანიკი გახედავს. ნაცემია, სახე შეშუპებული აქვს.

იაკობი:

მერწმუნე, ჩემთვისაც რთულია ამის ატანა, მაგრამ შენი უმოქმედობა ძალადობასთან შემგუებლობას უდრის. კონფორმისტი ხარ? მითხარი, იქნებ უკვე შენი პრინციპები უჩემოდ დათმე?

შუშანიკი:

ჩემზე უკეთ იცი, რომ უშენოდ არ ვარსებობ. პრაქტიკულად, ბიოგრაფია შემიქმენი. შენ მაგრძნობინე ვინ ვარ, რა მინდა და რატომ მინდა ის, რაც მინდა...

იაკობი:

აბა, რა საჭიროა ეს სიჯიუტე?

შუშანიკი:

დამამთავრებინე! წლების მანძილზე შენ ერთადერთი ადამიანი იყავი, ვინც ერთობლივად მამაჩემიც იყო, ჩემი ქმარიც და შვილიც. ბოდიში, იქნებ არ გსიამოვნებს ამ სოციალური როლების მორგება, მაგრამ ჩემთვის გაცილებით მეტი

იყავი, ვიდრე სულიერი მოძღვარი. შენ მე ტკივილის ატანა მასწავლე და არსებითი მნიშვნელობა არცა აქვსა ტკივილს ვის გამო იტან: მე მხოლოდ იმისთვის ვიტანდი, რომ ოჯახი შემენარჩუნებინა, რომელსაც თავის დროზე, როგორც ინსტიტუციას გავლენები ჰქონდა, მაგრამ წლების მანძილზე დალპა. შეხედე, ვერ გრძნობ სიდამპლის სუნს? უყნოსე, უკვე კედლებიდანაც ჟონავს შმორის ბლანტი სითხე.

იაკობი:

მომისმინე ერთი წუთით. ახლა ურთიერთობების შეფასების არც სურვილი მაქვს და არც ენერგია. ამის დროც მოვა. ახლა შენი მთავარი ფუნქცია მოქმედებაა. აჩვენე, რომ შენც რაღაც შეგიძლია და ეს ,,რაღაც'' შეიძლება ერთი მხრივ დამანგრეველი აღმოჩნდეს, მაგრამ ისიც უნდა გახსოვდეს, რომ შედეგად სისტემა მოირყევა. მორყეული, მოჩლუნგებული სისტემა კი მალევე ჩამოიშლება.

შუშანიკი:

რას მთავაზობ?

იაკობი:

მე არაფერს გთავაზობ. არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს პოლიტიკურ გარდაქმნას ვპროვოცირებ. არა. ეს შენი ქმედითი არჩევანია. თუ არ დაასწარი, ის დაგასწრებს. მორჩა

შუშანიკი:

არ შემიძლია.

იაკობი:

მაშინ, ახლავე აგიგებ პარაკლისს. მაპატიე, მაგრამ სხვა გზა არც არსებობს. ან გადარჩები ან ვერა. ან ისტორიაში შეხვალ ან ისტორიიდან სამუდამოდ გაქრები.

შუშანიკი:

ხომ იცი ამას რაც მოყვება? გგონია, ამათ გადავურჩები?

იაკობი:

აღასრულე, ჩვენ დაგიხსნით.

შუშანიკი:

ვინ ,,ჩვენ''?

იაკობი:

ჩემები,ნუ. არ მინდა ახლა ამ თემის გაშლა.

შუშანიკი:

გგონია, შევძლებ?

იაკობი:

(ჩურჩულით)

უნდა შეძლო! ეს არ არის უბრალო მკვლელობა. ჩათვალე, რომ ეს კოლექტიური აქტია. სიმართლის ფინალური აკორდი. შენ უნდა იძიო შური ყველა დაჩაგრულის სახელით.

შუშანიკი:

რომ ვერ შევძლო? მომკლავს.

იაკობი:

შენგან მოულოდნელი იქნება. შოკი უმოქმედოს გახდის.

პაუზა.

დამიჯერე!

შუშანიკი:

ვიცი, ჩემთვის კარგი გინდა, მაგრამ არ მინდა, იმედები გაგიცრუო.

იაკობი:

არა მხოლოდ შენთვის, ქვეყნისთვისაც.

შუშანიკი:

ჰო.

იაკობი:

ახლა სადაა?

შუშანიკი:

წარმოდგენა არ მაქვს.

ხანგრძლივი პაუზა.

შუშანიკი:

გაბრაზებს?

იაკობი:

ვარსქენი?

შუშანიკი:

ჩემი შვილი.

იაკობი:

როგორ გითხრა, ჭირვეული ბავშვია. ორჯერ სცადა გაქცევა.

შუშანიკი:

ეგ არ მაინტერესევს. ვძულვარ?

იაკობი:

ეზიზღები!

შუშანიკი:

(ირონიით)

დიდი შეღავათია!

იაკობი:

ჩვენ მივხედავთ. ეგ კი არა, შეიძლება მამამისის სიკვდილის მერე შეგიყვაროს კიდეც.

შუშანიკი:

ვარსქენის გოგოა. კარგად ვიცნობ.

იაკობი:

ეს სახლი მის ფსიქიკაზე მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

შუშანიკი:

ჰო, კი.

პაუზა.

ასპიტები...

კარზე აკაკუნებენ.

იაკობი:

ჩემი გასვლის დროა. კარგად დაფიქრდი. ყველას განსაკუთრებული მისია გვაქვს. მე შენი სულის გადარჩენა მევალება, შენ- ქვეყნის.

შუშანიკი:

ჰო, მე-ქვეყნის.

იაკობი:

ჰოდა, იმოქმედე!

გადის.

ფ ა რ დ ა